



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 310

ქალაქი ბათუმი

29/03/2017

310-05-4-201703291035



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86¹-ე მუხლის საფუძველზე ვბრძანებ:

შექმნას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანო სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

- ა) დავით ნაგერვაძე - ბიზნესმენი (საბჭოს თავმჯდომარე);
- ბ) მერაბ ქავთარაძე - იურისტი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
- გ) გიორგი დუმბაძე - ეკონომისტი;
- დ) რენე თანდილავა - ექიმი;
- ე) ნუნუ ქიქავა - პედაგოგი;
- ვ) რევაზ შალიკაძე - ლოჯისტიკის სპეციალისტი;
- ზ) მზია ბერიძე - პედაგოგი;
- თ) გოგიტა მურცხვალაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია „ღვთისშვილთა კავშირის“ თავმჯდომარე;

ი) შორენა კვირიკაძე - ექიმი;

კ) რუსლან ფაღავა - ფერმერი;

ლ) მზია ფევაძე - ექიმი;

მ) ნინო ლორთქიფანიძე - სტუდენტი;

2.დამტკიცდეს სამოქალაქო მრჩველთა საბჭოს დებულება დანართი 1-ის შესაბამისად.

3.ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს - მრჩველთა საბჭოს უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩველთა საბჭოს დებულებით.

4.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს მირზა ბახტაძეს.

5.დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნადიმ ვარშანიძე

გამგებელი

ხელმძღვანელობა

6.3.2020